

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

გეოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

გეოლოგიის დოქტორი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

გეოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარებით აღჭურვილი მკვლევარის მომზადება:

- საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების, ნივთიერი შემადგენლობის, განვითარების ისტორიის, წიაღში და ზედაპირზე მიმდინარე გეოდინამიკური პროცესების კანონზომიერებების დადგენისათვის;
- სასარგებლო წიაღისეულის საბადოების პროგნოზირების, გენეზისის და გავრცელების შესწავლისათვის;
- მინერალური რესურსების შეფასების, მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხების დამუშავებისა და ახალი იდეების გენერირებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- განიხილავს ნალექდაგროვების აუზების ტიპებს, მყარი სასარგებლო წიაღისეული საბადოების კავშირს დედამიწის ქერქის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებთან, კავკასიის მეზოზოურ ინტრუზიულ კომპლექსებს და მაგმატიზმის განვითარების თავისებურებებს, ტექტოგენეზის მექანიზმებს, მიწისქვეშა წყლების ზემოქმედებას გეოდინამიკურ პროცესებზე, ჭრილების სტრატეგრაფიული დანაწილების და კორელაციის უახლეს მეთოდებს;
- გეოლოგიის და მოსაზღვრე დისციპლინების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე ახლებურად წარმოაჩენს და აყალიბებს ლითოსფეროს აგებულების და ნივთიერი შემადგენლობის, გეოდინამიკის, განვითარების ისტორიის, სასარგებლო წიაღისეულის გენეზისის და გავრცელების პრობლემური და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს;
- განსაზღვრავს გეოლოგიური კვლევის მეთოდების როლს დედამიწის წარსული ეპოქების, ფიზიკურ-გეოგრაფიული, პალეობიოგეოგრაფიული და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციების, ლითოსფეროს აგებულების, გეოდინამიკის, სასარგებლო წიაღისეულის გენეზისის და დანაწილების კანონზომიერებების დადგენაში.

- ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის ძიების, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების და კომუნიკაციების მშენებლობის პრობლების კვლევის მიზნით გეგმავს სხვადასხვა შესაბამის გეოლოგიურ სამუშაოებს.
- იკვლევს მაგმურ და მეტამორფულ კომპლექსებთან დაკავშირებულ პრობლემებს, გეოდინამიკურად საშიშ უბნებზე არსებულ პრობლემებს, ორგანული სამყაროს განვითარებას, სასარგებლო წიაღისეულს მათი შესაძლო გამოყენების თვალსაზრისით;
- ახდენს სასარგებლო წიაღისეულის ბუნებრივი რესურსების, სტიქიური მოვლენების და ადამიანის სამეურნეო-საინჟინრო საქმიანობით გამოწვეული არასასურველი პროცესების რისკების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას;
- გეოლოგიის დარგის წინაშე მდგარ სამეცნიერო-პრაქტიკული პრობლემების გაზიარებით, ამუშავებს მათი გადაჭრის სტრატეგიას და მეთოდებს, მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ფორუმებში, აგრეთვე სტანდარტების და ნორმების შემუშავებაში;
- აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს გეოლოგიის სფეროს უახლოეს ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ ინოვაციურ კვლევით პროექტებს.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი - შალვა კელეპტრიშვილი /595 15 10 88 / sh.keleptrishvili@gtu.ge/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, კოსტავას ქ. 77, III სასწავლო კორპუსი, ოთახი 311

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის დოქტორი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის მიზანია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, კვლევის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარებით აღჭურვილი და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ორიენტირებული მკვლევარის მომზადება:

- ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებისათვის;
- დაძიებული სტრუქტურების ბურღვისათვის;
- აღმოჩენილი ბუნებრივი ნახშირწყალბადების საბადოს დამუშავებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- განსაზღვრავს სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის უახლეს მიღწევებს, პარამეტრების შეფასების სიზუსტეს და შემთხვევითი სიდიდეების განაწილების კანონს ჭაბურღილების ბურღვისას, ბუდობების ნავთობგაზიანობის პროგნოზის კრიტერიუმებს, ინდიკატორულ ხსნარებს და მათი გამოყენების პირობებს, დანალექი აუზების ნალექების პოსტსედიმენტაციური გარდაქმნის პროცესებს;
- აღწერს ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, პროდუქტიული ფენის მოძებნას, ჭაბურღილების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციას, ინდიკატორულ ხსნარებს და მათი გამოყენების პირობებს, ნახშირწყალბადების ბუდობების დიფერენციაციის თავისებურებებს, დედამიწის გეოლოგიურ სტრუქტურებში ნახშირწყალბადების დაგროვებების განაწილების კანონზომიერებებს;
- ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სფეროს სისტემური გააზრების საფუძველზე განიხილავს ნახშირწყალბადების რესურსების რაოდენობის შეფასების მეთოდებს, გაზომვის შედეგების პირველადი დამუშავების მეთოდს, ინდიკატორული კვლევით დადგენილ ფილტრაციული ნაკადის მიმართულებებს, დანალექი საფარის აგებულების თავისებურებებს, აუზების ნალექების პოსტ-სედიმენტაციური გარდაქმნის პროცესებს;
- ახდენს სწავლებისა და სწავლის სტრატეგიათა კომბინირებას, ბუდობების ნაპრალოთა სისტემების, საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური პარამეტრების კლასიფიცირებას;

- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების საფუძველზე კრიტიკულად აფასებს ბუღობის ნავთობგაზიანობის პერსპექტივას, ჭაბურღილების ბურღვის მაჩვენებლებს, სარეწაო გეოლოგიური პარამეტრების ცდომილების გავლენას საბადოს დამუშავების პროცესზე;
- იყენებს დარგის ინოვაციური სწავლების მეთოდოლოგიას, ნავთობგაზიანობის პერსპექტივების რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიას; ინდიკატორის ჩაჭირხვისათვის საჭირო ტექნიკას და სპეცმოწყობილობებს, დისპერსიული და რეგრესიული ანალიზის მეთოდებს ჭაბურღილების გაყვანისას, ინოვაციურ მეთოდებს, საშუალებებსა და ტექნოლოგიებს პრაქტიკულ საქმიანობაში;
- ირჩევს ნარჩენი ნავთობის მარაგების ათვისების მეთოდებს, ძირითად სარეწაო გეოლოგიურ პარამეტრებს და მათი ზღვრულ დასაშვებ მნიშვნელობებს საბადოს ჰიდროდინამიკური მოდელის შედგენისათვის, ბურღვის ახალ ტექნიკურ საშუალებებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ექსპერიმენტული გამოკვლევების აუცილებელ მოცულობას, საჭიროებს ჭაბურღილს ინდიკატორის ჩასაჭირხნად;
- პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს რეკომენდაციებს საბადოს დამუშავების ამოცანების გადასაწყვეტად.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი - გიორგი დურგლიშვილი /599 54 88 69 /g.durglivili@gtu.ge/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, თბილისი, კოსტავას ქ. 77, მესამე კორპუსი, ოთახი 319

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება საწარმოო რისკებისა და ტექნოგენური საშიშროებებისაგან დაცვის მეთოდების შემუშავების იმ ურთულესი პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც უკავშირდება პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციულ - ტექნიკურ საკითხებს.
- პროფესიული რისკების განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით კვლევითი პროექტების განხორციელება, ორიგინალური იდეების შემუშავება საწარმოო უსაფრთხოების, ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების მინიმიზაციისა და ინდივიდის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- უსაფრთხოების არსებული კონცეფციებისა და თეორიების კრიტიკულად შეფასება, კონკრეტული სამუშაო გარემოს საჭიროებისა და გამოწვევებისათვის უსაფრთხოების ჰოლისტიკური მენეჯმენტის სისტემის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- განიხილავს შრომის უსაფრთხოების კონცეფციებს და თეორიებს, ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ტექნიკურ რეგლამენტებს, შრომის პირობების შეფასების პრინციპებს, საგანგებო სიტუაციაში მოქმედების წესებს და რეგულაციებს, კვლევის ობიექტის ორგანიზაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;
- საწარმოო უსაფრთხოების სისტემების შემსწავლელი მიმართულებების ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ადგენს ცოდნის განახლებულ საზღვრებს;

- პროგნოზირებს ანალიტიკური მეთოდების შემუშავებისა და ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს, სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე პოტენციურ საწარმოო რისკებს და სახიფათო ფაქტორებს;
- რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში ახდენს საწარმოო გარემოს საშიშროებების იდენტიფიცირებას, ექსპერიმენტული კვლევის მეთოდების შედეგებისა და ინტეგრირებულ მონაცემთა ვალიდაციას.
- აჯამებს ტექნოგენური საშიშროებით გამოწვეულ მოსალოდნელ შედეგებს, საწარმოო უსაფრთხოების დარღვევის რისკ-ფაქტორებს, ადამიანზე მათი ზემოქმედების დონეს, ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ ეფექტს, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული გარემოს უსაფრთხოებაზე;
- გეგმავს საწარმოო უსაფრთხოების მართვის სტრატეგიას, საწარმოო რისკ-ფაქტორების შემცირების ღონისძიებებს, ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების, მსხვილი სამრეწველო ავარიების და კატასტროფების ანალიზის საფუძველზე მათი თავიდან აცილების, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს;
- აფასებს სიტუაციის ნორმალიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, შრომის სანიტარულ -ჰიგიენურ პირობებს, მოსალოდნელ რისკებს და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის საიმედოობას, მავნე ფაქტორების ზემოქმედების ეფექტს და არჩევს ზღვრულ დასაშვებ სიდიდემდე შემცირების გზებს;
- შეიმუშავებს პროფესიული შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელი საწარმოო პირობების უზრუნველყოფის ახალ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, სამუშაო გარემოს კომფორტული პირობებით უზრუნველყოფის რეკომენდაციებს, საწარმოო რისკების პროგნოზირების, შეფასების ინოვაციურ მეთოდებს და მართვის საიმედო სისტემებს.
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ინოვაციური მეთოდების გათვალისწინებით ამზადებს კვლევით პროექტებს პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სფეროში.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი - ნინო რატიანი /599 501 660 / n.ratiani@gtu.ge/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, კოსტავას ქ. 77, III სასწავლო კორპუსი, ოთახი 204

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

საინჟინრო გეოდეზია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დოქტორი საინჟინრო გეოდეზიასა და გეოინფორმატიკაში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამის მიზანია საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, კვლევის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარებით აღჭურვილი, ორიგინალური იდეების შემუშავებასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე, აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ორიენტირებული მკვლევარის მომზადება:

- მაღალი სიზუსტის გაზომვების შესრულებისათვის;
- ციფრული თემატური ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნისათვის;
- გეოდეზიურ მონაცემთა ანალიზის, სინთეზისა და შეფასებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე აღწერს გეოდეზიური ქსელებს და მათი დამუშავების მეთოდებს, ნაგებობათა დეფორმაციებზე დაკვირვებებს, უმცირეს კვადრატთა თეორიის პრინციპებს, მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის შესაძლებლობების გამოყენებას;
- გეგმავს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ ინოვაციურ კვლევებს, მასთან დაკავშირებული სტატისტიკური მასალების მოძიებას და მათ დამუშავებას;
- გის-ის ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით წარმართავს ინტერდისციპლინურ და ემპირიულ კვლევებს, მიწისქვეშა და მიწისზედა ქსელების პუნქტების მდებარეობის განსაზღვრის პროცესს;
- აფასებს საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ახდენს მიწათსარგებლობის მონიტორინგის სქემების ოპტიმიზაციას ინოვაციური მეთოდებით, გეგმური და სასიმაღლო ქსელების გაწონასწორებას, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე გეოდეზიური ქსელის პროექტის შეფასებას;

- წყვეტს საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროში გეომონაცემების მოძიების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის საკითხებს;
- საინჟინრო გეოდეზიის, მარკშიდერიისა და კარტოგრაფიის კვლევებში იყენებს ინოვაციურ მეთოდებს;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ინოვაციური მეთოდების გათვალისწინებით ამზადებს პრეზენტაციას და წერილობით ინფორმაციას საინჟინრო გეოდეზიის და გეოინფორმატიკის სფეროში;
- აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროს უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ ინოვაციურ კვლევით პროექტებს.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი - ნოდარ მათიაშვილი / 599 174 241 / Nodar.matiashvili@gtu.ge / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, კოსტავას ქ. 77, III სასწავლო კორპუსი, ოთახი 238

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

სამთო ტექნოლოგიები

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამთო და გეოინჟინერიის დოქტორი

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამთო ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამის მიზანია მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების პროექტირების, ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების და რეალიზაციის საკითხებთან დაკავშირებული უახლეს ცოდნით და კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარებით აღჭურვილი, პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ორიენტირებული მკვლევარის მომზადება:

- სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავებასა და გადამუშავებაში;
- საშახტო და მიწისქვეშა მშენებლობაში;
- სამთო მანქანა-დანადგარების, ენერგომომარაგებასა და ავტომატიზაციაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

- აღწერს კვლევის თანამედროვე მეთოდების არსს, სამთო საქმისა და მოპოვების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ტექნოლოგიებს, მყარი სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოთა მშენებლობას, ღია კარიერული და შახტური წესით მოპოვებას, მასთან დაკავშირებულ პროცესებს, მინერალურ გადამუშავებას, საბადოების ექსპლუატაციას;
- მიღებული ცოდნის გაფართოებისა და ხელახალი გააზრების გზით, განმარტავს ახალი ეკონომიკურად ეფექტური და უნარჩუნო ტექნოლოგიების შექმნის აუცილებლობას, საბადოთა მიწისქვეშა და ღია წესით დამუშავების ტექნოლოგიის ცალკეული პროცესების გაანაგარიშებების მეთოდებს;
- მონაწილეობს მყარი წიაღისეულის მოპოვების და გადამუშავების ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვაში, განხორციელებასა და ზედამხედველობაში;
- აფასებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანი და კომპეტენტური ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;

- გეგმავს კვლევებს წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ახალი სპეციალური მეთოდების შემუშავების მიზნით;
- ამზადებს წინადადებებს წიაღისეულის საბადოების მიწისქვეშა ან ღია წესით დამუშავებისას წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად;
- მონაწილეობს სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების განხორციელებაში;
- წყვეტს ტექნოლოგიურ საკითხებს სამთო საქმისა და მოპოვების დარგში წარმოშობილი გამოწვევების საპასუხოდ;
- იზიარებს ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიებას და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებას, პროფესიულ ღირებულებათა, ეთიკისა და მორალის მიღებულ ნორმებს.

შეფასების წესი

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი - გელა მაჩაიძე /592 66 89 97 / [g.machaidze@gtu.ge/](mailto:g.machaidze@gtu.ge) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, კოსტავას ქ. 77, III სსსწ. კორპუსი, ოთახი 409